

„სიღქნეტი“ - ახალი პროდუქტების შექმნა არ უნდა იყოს აღქმური გაძვირებად



სიღქნეტი
SILKNET
ყვალაფარი კავშირშია

კომპანი „სიღქნეტი“ სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით კიდევ ერთ განცხადებას ავრცელებს. კომპანიაში აცხადებენ, რომ მომხმარებლებს ახალ პროდუქტებს სთავაზობენ და ეს არ უნდა იყოს აღქმური გაძვირებად.

„სიღქნეტი თავისი არსებობის ისტორიაში მუდმივად ქმნის ახალ პროდუქტებს და აუქმებს ძველს.

ანალოგიურად შეიქმნა ახალი პროდუქტი, რომლის ფარგლებშიც არათუ გაძვირდა, არამედ 1მბ ინტერნეტის ღირებულება 40%-მდე გაიანჭრა. შესაბამისად, ეს არ უნდა იქნეს აღქმური როგორც გაძვირება, რადგან ხდება ძველი პროდუქტის გაუქმება და ახლის შექმნა, რომლის ფარგლებშიც 1მბ-ის ინტერნეტის ღირებულება საგრძნობლად მცირდება.

მარეგულირებელი კომისიის მიერ განცხადების გაკეთებისთანავე „სიღქნეტი“ დაუკავშირდა კომისიას და დაიგეგმა სამუშაო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც კომპანია მიაწვდის ამომწურავ პასუხს ყველა დასმულ კითხვაზე. ამასთან, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ არანაირი სახის გარიგებას ან შეთანხმებას სხვა კომპანიასთან ადგილი არ ჰქონია და „სიღქნეტი“ კანონის სრული დაცვით მოქმედებს”, – აცხადებენ კომპანიაში.

„სიღქნეტმა“ განცხადება გუშინ ვებგვერდის მეშვეობითაც გაავრცელა, სადაც საუბარი იყო ვარუტის გაუფასურების ფაქტორზეც.

„მნიშვნელოვანია იმის გათვარისწინება, რომ კომპანიის

განვითარებასთან დაკავშირებული შესყიდვები სრულად უცხოურ ვაღუტაში ხორციელდება, მაშინ, როდესაც შემოსავლები ადგილობრივ ვაღუტაშია. ბოლო წლების სავაღუტო დევიდვაციის მიუხედავად, „სიღქნეტი“ ინარჩუნებს ფასებს ბაზარზე და ეს ტვირთი აბონენტებზე არ ასახუდა“, – აღნიშნეს კომპანიაში.